ISSN 0132—6015

# 5

# ნიანგი

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა



უშვილო მილიონერი

შვილებიანი ღარიბი



უშვილო ღარიბი

შვილებიანი მილიონერი

# აღვუდგენთ დიდებას!..



**რესპუბლიკაში მწვავედ** დაისვა ქართული ჩაის ხარისხის სახელის აღდგენის საკითხი. საქართველოს მეჩაიეთა დედას — ქალბატონ თამარ ყუფუნიას გულმხურვალედ [illegible]ურნენ ყველგან, სადაც კი „მწვანე ოქრო" იკრიფება და ვის ხელთაც არის მისი ბედი. საქართველოს პროფკავშირთა [illegible]ნანდელ ყრილობაზე ნიანგიც უკრავდა ტაშს მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **ცისანა თალაკვაძის** — გულისწყრომითა და ამავე დროს ხალასი იუმორით შეზავებულ სიტყვას.

ჰოდა, ტაშისკვრას რომ მორჩა, გადაწყვიტა, თავის ფურცლებზე მოეწვია სახელოვანი მეჩაიე. აბა, მოუსმინეთ მისს ზოგიერთ მოსაზრებას:

...მეჩაიეთა დიდ გამარჯვებაა, ალბათ, გაცილებით მეტს მოგახსენებდით, რომ რამდენადმე სინდისს არ გვიქენჯნიდეს ქართული ჩაის ხარისხის ბედი, რაზედაც ძალზე დროულად და ღრმად დაგვაფიქრა ქართველი მეჩაიეების დიდებამ — ქალბატონმა თამარ ყუფუნიამ!..

რა თქმა უნდა, ჩვენი დიდებული ქალბატონი თამარი ცამდე მართალია და ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება თითოეული ჩვენგანის ხელთაა, ჩვენი ღირსების, სინდისისა და პატიოსნების საქმეა!

საქართველოს მეჩაიეებმა დამაბარეს მათი მტკიცე გადაწყვეტილება და მზადყოფნა, რომ **1982 წელი იქნება ქართული ჩაის სამარკო ღირსების ამაღლების წელიწადი!** დაე, ნურავინ იფიქრებს: ქართული ჩაის ხარისხის ამაღლებაზე ლაპარაკი, დაწყებული ამ შუა ზამთარში, ჩაის ინტენსიურად სხის პერიოდში, კონკრეტულ საქმეებში გამოხატულებას არ ჰპოვებს გაზაფხულსა და ზაფხულში — ჩაის პლანტაციების ინტენსიურად დამუშავებისა და, განსაკუთრებით, ჩაის ფოთლის ინტენსიურად კრეფის დროს!.

პროფკავშირული ორგანიზაციები ახლა უკეთ ინტერესდებიან მეჩაიეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებით!.. როგორც მოგეხსენებათ, საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი სახე უშუალოდ პლანტაციაში გვეშოვება. ერთხელ კიდეც გვკითხეს — ჩაის საკრეფად იყავით, თუ სილამაზის სალონში?!.

მაგრამ ამ მხრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაცილებით მეტის გაკეთება მართებთ! მოგეხსენებათ, საქართველოს სუბტროპიკული ზონაა და ამ ზონის კოლმეურნეობების მძლავრი ეკონომიკა კარგ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობას ჰქონდეს თავისი დასასვენებელი — გამაჯანსაღებელი ბაზები!

მომსახურების ზოგიერთ სფეროშიაც შეინიშნება ფორმალიზმი: პლანტაციაში რომ თეთრხალათიანი ექიმების მოსვლის მიზეზი გავიგეთ (ჩვენი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარებინათ), გაკვირვებულები დავრჩით! მაგრამ, თურმე, მათ ეს მორიგ ღონისძიებად ეთვლებათ! არადა, მეჩაიე ქალების საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმებისათვის სათანადო რეკომენდაციების და, განსაკუთრებით, ავადობის ისეთი ცნობილი ანტიბიოტიკის, როგორიც საწარმოო ტანვარჯიშია, შესამუშავებლად, რაც შეიძლება მალე უნდა მოიცალონ რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტრომ და შესაბამისმა სამეცნიერო ცენტრებმა!..

მოგეხსენებათ, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის უკეთილშობილეს საქმეში რა დიდ როლს ასრულებს მუზეუმი — სამხედრო, შრომითი დიდების ამსახველი იქნება ის, თუ კულტურული ყოფისა!

ზოგი მათგანის საიდუმლოებას, რატომღაც, აგებამდე ვინახავთ, მაგრამ ერთის საიდუმლოს, მისი ორიგინალობის გამო, მაინც გაგიმხელთ (ამდენ ხალხში საიდუმლოების გამხელა რამდენადმე მეჩოთირება კიდეც, უფრო იმიტომ, რომ ვინმემ არ დაგვასწროს, — თუმცა ამდენ მოწმეს რას ეტყვის?!)

საქმე კი ის გახლავთ, რომ **ვაპირებთ შევქმნათ სიცილისა და გურული იუმორის პარკი!** ასე რომ, ჩემი მშობლიური რაიონი მალე ღია ცის ქვეშ არსებული ერთიანი შესანიშნავი მუზეუმი იქნება, რომელსაც ღირსეულ ფონს შეუქმნის ჩაის მწვანედ მოხასხასე პლანტაციები და მეჩაიეთა გმირული შრომა!

თუ საახალწლო მეკვლეობაზე ჩამოვარდება სიტყვა, მაშინ იმაზე უფრო საბედნიეროსა და შესანიშნავ, მამაშვილურად გულში ჩამწვდომს ვინ ინატრებს, — საახალწლოდ საქართველოს ახალგაზრდობას რომ გვერგო ამხანაგ **ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძისაგან.**

ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციაში განვიხილეთ ეს სიტყვა და გადავწყვიტეთ, რომ ერთმანეთს პატაკები ჩავაბაროთ არა მარტო შრომითი მაჩვენებლებით, არამედ ქორწილების, ძეობების, შვილთა მრავლობის, ჩვენი ოჯახების განმტკიცების მაჩვენებლებითაც! ამ მხრივ პირველი მერცხალი ჩვენს რგოლშიც გაჩნდა და რგოლის ერთი წევრი ამ ყრილობის წინ დავაქორწინეთ. ისე კი, კადნიერება უნდა მაპატიოთ და, გამოგიტყდებით, რომ ზოგიერთი ვაჟი „ბოროტად" იყენებს ამ მომენტს და გოგონებს გვემუქრება, თუ ცოლად არ გამომყვები, „ზ ე ვ ი თ" დაგაბეზღებო!

იცოდეთ, თუკი ზემდგომ ინსტანციებში ჩვენი კუთხიდან გამოგზავნილი წერილების რიცხვმა იმატოს, მხოლოდ ამის ბრალი იქნება!

ზოგიერთი ვაჟი აყენებს საკითხს — მრავალშვილიანი დედების მსგავსად, მრავალშვილიან მამებსაც ჰქონდეთ მორალური სტიმულირება!

ეს კი ნამდვილად არის მხარდაჭერის ღირსი!

ძალიან ბევრი ვიფიქრე ერთ საკითხზე: მართალი გითხრათ, არ მინდოდა მეთქვა, რადგან ეს ახალი არ არის. **საქმე ეხება მეჩაიეებისათვის სპეცტანსაცმლის შექმნას!** საკითხი რამდენჯერმე დაისვა, მაგრამ საშველი მაინც არ დაადგა! იქნება, პროფკავშირის რესპუბლიკურმა საბჭომ გვიშველოს ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში!

კიდევ ერთი დანაბარები: ქართველ მაჩაიეებს დიდად გვახარებს, რომ ბევრი სიმღერაა შექმნილი ვაზზე. მეჩაიეთა დიდი გმირული შრომა კი სათანადოდ არ არის ასახული ჩვენი მწერლების მიერ! ჩვენ ველით მათ ნაწარმოებებს!

ისე კი, ძალიან გვიკვირს, რომ მეჩაიეებზე არაფერს წერს ჩვენი საყვარელი ნოდარ დუმბაძე, მით უმეტეს, რომ, როგორც ამბობენ, ახლა ჩაის გარდა, არაფერს სვამს!

დასასრულს, ყოველგვარი ტრადიციული გამოთქმის გარეშე გარწმუნებთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ქართველი მაჩაიეები მზადა ვართ საქართველოსა და მისი მადლიანი მიწის ერთერთი მშვენების — ქართული ჩაის სადიდებლად!

**ყოჩაღ, ცისანა! ნამდვილად ჩემებურად, ნიანგურად თქვი სათქმელი!**

ნახ. მ. აბაშიძისა




უსიტყვოდ

ევგენი დოლმატოვსკი

## ჩვენ — მოქანდაკენი!

არ არსებობენ უშნო ქალები! —
ქალს, თუნდაც, მშვენი უჩანს თვალები!..
არ არსებობენ,
არ არსებობენ,
არ არსებობენ უშნო ქალები!
მაგრამ, თუ მართლაც უშნოა ქალი, —
ამაში კაცებს მიგვიძღვის ბრალი:
ტლანქი ხელებით, ნაზი ხელებით
ქალს ვამახინჯებთ,
ან ვეფერებით!
დიახ, არც მეტი და არც ნაკლები, —
ჩვენა ვართ მათი მოქანდაკენი!
ეს ჩვენ ავუვსეთ ცრემლით თვალები!
ეს ჩვენ გავუვლეთ შუბლზე ღარები!
სამაგიეროდ, რა სიმდიდრეა
ოდეს ვაღმერთებთ ქალში იდეალს!
რა სიმდიდრეა!
რა სიმდიდრეა!
. . .
დიახ, არც მეტი და არც ნაკლები:
კაცნი ვართ ქალთა მოქანდაკენი!

თარგმნა ნაზი კილასონიამ

## სარვამარტო ლექსიკონი

**ანგარიშიანი საქმრო** — ვინც ისეთ ქალიშვილს სთხოვს ხელს, ხელს რომ აძლევს.

**გათხოვება** — შინაური პატიმრობა ცუდი ქმრის ხელში.

**დიალოგი** — ორი ქალის ერთდროული მონოლოგი.

**განქორწინება** — ერთი ნახვით შეყვარების შედეგი.

**8 მარტი** — მოშულლე ცოლ-ქმართა, სიძე-სიდედრთა და რძალ-დედამთილთა შორის ცეცხლის შეწყვეტის დღე.

ალმანზორ თავაძე

## სარვამარტო ბარათი

რვა მარტს გილოცავ, ნინიკო! შენი სახით ყველა ქალს ვულოცავ ამ დღე[illegible] სასწაულს! კარგად იცი, როგორ მიყვარდა და ვაფასებდი ქალებს (თუ ღმერთი გწამს, ნუღარ იეჭვიანებ, ფიციც კი არ არის საჭირო, რომ ახლა მა[illegible] აღარ მცხელა!).

ჰოდა, იმას გეუბნებოდი: კი იცი, როგორ მიყვარდა ქალები-მეთქი, მაგრამ რას იზამ? ისე, ყვედრებაში ნუ ჩამომართმევ და, სულ თქვენით მჭირს, რაც მჭირს! თუმცა, მაპატიე, მოსალოც წერილში რა საკადრისია საყვედურები! ან კი, რა ვქნა, ბოლმა მახრჩობს ახლა მე! ქვეყნად რომ სამართალი ბოგინობდეს, ოთხ კედელში კი არა, საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში უნდა ვიჯდე სარვამარტოდ!

შენ, სიმდიდრესთან ერთად, სიმართლის მოყვარულიც იყავი! (ქალს თუ რამე დაეჯერება, ამას ჩამჩიჩინებდი მუდამ!) და განსაჯე თვითონ, რაც მე ქალებზე მიზრუნია, ნობელის პრემია თუ არა, ქალთა საზოგადოების მიერ ყველაზე გულუხვი და ყურადღებიანი მამაკაცისათვის განკუთვნილი ჯილდო ხომ მე მერგებოდა?! ეჰ, რაში გამიმართლა, რომ ეს ბედნიერება მრგებოდა!

ვიცი, პროტექციონიზმსა და ამგვარ გადმონაშთებს ებრძვიან ახლა, მაგრამ იგივე წესრიგისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით, გთხოვ, მიშუამდგომლო სადაც ჯერარსს — იქნებ ის ჯილდო სიკვდილის შემდეგ მაინც მე მომაკუთვნონ (ხომ იცი, მითვისება მიყვარდა და ისე როგორ წავხდები, მისჯილიდან ერთი ხუთი წელი არ წავიყოლო საიქიოს!).

შუამდგომლობას თუ ნივთიერი მტკიცება დასჭირდეს, აგერ ჩემი დამსახურების ნუსხაც:

შენს სახელზე აგარაკი მქონდა წყნეთში (შეიძლება, ახლა სწორედ იქ იყო ვინმესთან ერთად! ნუ გამიმტყუნებ, ეჭვიანი გავხდი ამ ბოლო დროს), დედაჩემის სახელზე — „ვოლგა" და მცირე აგარაკი შევიძინე გაგრაში, ჩვენს თორმეტი წლის გომბიოს ხუთოთახიანი ამხანაგობა არ მივართვი დაბადების დღეს? ჩემი ნეტარხსენებული სიდედრი ასმანეთიანებით გატენილ ლეიბზე რომ გორაობდა, ესეც გეხსომება. ვთქვათ, ეს ჩვენი შინაურული ამბავია, და, ასე თუ ისე, ვალდებული ვიყავი თქვენს წინაშე.

ახლა სხვასაც გეტყვი: მთავრობასთან ერთად, საზოგადოებრივ საწყისებზე ვშველოდი ობლების გაზრდაში ვერელ ნატოს, დიდუბელი როზას მუტრუბიჭს „მოსკვიჩი" ვუყიდე, ცოტა ანგალი იყო ოხერი, შარი არ მოგვდოს-მეთქი, ვიფიქრე. ოთხოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა მივართვი ავლაბრელ გულნარას და მის კუდრაჭა გოგოს (მეცოდებოდა უმამოდ დარჩენილი გვრიტი). შენზე უკეთ ვინ იცის ცოდვა-მადლიანი კაცი რომ ვიყავი — ერთი ტაოტიანი „ჟიგული" და ერთიც „დევიჩი სპალნა" ჩვენი მმართველის პირად მდივანს ვაჩუქე, რადგან ძუნწი კაცი იყო ჩვენი მმართველი და, ყვავილების გარდა, არაფერს იმეტებდა იმ ბატკანივით გოგოსათვის, ძლივს გამიმხილა, — ყვავილებთან ერთად კონიაკი და შოკოლადი მოჰქონდა ჩემთან, შინ პაემანზე რომ მოდიოდაო, მაგრამ თვითონვე ჭამდა და სვამდა თურმე მიტანილს.

აჰა, გამოვედევნე წვრილმანებს და კინაღამ დამავიწყდა, რომ ჩემი ქველმოქმედება დიდი ხანია გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს და მასშტაბებიც არა უშავს მქონდა! (ხომ გახსოვს, მივლინებებით დავდიოდი შორეულ ქალაქებში). სხვადასხვა დროს მიმირთმევია — ჩელიაბინსკელ მარინა ფიოდოროვნასათვის ექვსკარატიანი მარგალიტისთვლიანი პლატინის ბეჭედი, თახვის ქურქი — კიეველ ოქსანასათვის, საძილე გარნიტური „ტიულპანი" — ლენინგრადელ ზინაიდა პავლოვნასთვის, „ნუ პაგადი" საპოჟკები და მაცივარი „ზილი" — ხარკოველ ნინა ივანოვნასათვის.

ზოგიერთი უმადურიც გამოდგა, ჩემო ნინიკო: მოსკოველმა ნატალია პეტროვნამ აქ გამოგზავნილ წერილში მისაყვედურა — ორიათასმანეთიანი ქურქის ყიდვა არ გაგჭირვებია და 25-მანეთიანი „შინიონი" რად დაგეზარა, რაკი დამპირდი, შემისრულე კიდეცო! ასეთმა უმადურმა, შეიძლება, გააპროტესტოს კიდეც ჩემი დაჯილდოება, ცოტა ნაცნობებიც ქე ჰყავს იქ და ამიტომ ვფრთხილობ. თუ ქალი ხარ, იმის მისამართს მოგწერ და გაუგზავნე ის წყეული „შინიონი", შენ ხუთი თუ ექვსი გაქვს და, რა დიდი საქმეა?!

ერთი სიტყვით, ასეა, და თუ ეს არ იკმარონ წარდგენისათვის და დამატებითი ცნობები მოგთხოვონ, გამომძიებელს მიაკითხე! მასთან რომ ჩემი საქმეები ინახება, იქ უფრო დეტალურადაა აღწერილი ყველაფერი! დროზე მიაშველე, თორემ არქივში გადაგზავნიან!

ჰო, აქამდე კი ვიკავებდი თავს, მაგრამ ახლა აღარაა საჭირო დამალვა: გამომძიებელთან ჩემი საყვარელყოფილების სიაც ინახება, გაჩხრეკის დროს მინახის სეიფში. კაი სამნიშნა რიცხვიანი სიაა. ისიც დაურთე საქმეს!

კარგად იყავი! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ქალებს!

დავით ასკურავა

ნახ. ა. ერაძისა




— საჩუქრის მოსატანად მოემზადე!..

# ტყუილ-მართალი

ერთმა კაცმა, თავის ცოლ-შვილთან ერთად,
ქალაქში ნახა ლამაზი შენობა,
რომელსაც „ფეხსაცმლის სახლი“ ერქვა.
შევიდა შიგ (იმ კაცს კარგი ფეხსაცმლის შეძენა სურდა.
საერთოდ, ლაზათი უყვარდა და ულაზათობა სძულდა).
იყიდა ფეხსაცმელი, როგორიც სურდა და
როგორიც მის ასაკს შვენოდა.
ცოლსა და შვილებსაც უყიდა, როგორიც სურდათ და
როგორიც მათ ასაკს შვენოდა.
ეს, რაც გითხარით, იყო ზღაპარი!
ახლა უნდა გითხრათ მართალი:
რის ფეხსაცმელი, რა ფეხსაცმელი?!.
კარგი ფეხსაცმელი სად არი?!.
ამბობენ, კაცი კაცითაო,
კაცმა კაცს კარგი ფეხსაცმელი აყიდვინა
და იმ კაცმა გემოზე გაცვითაო!
მე რა ვქნა საწყალმა, რომ არ მყავს ნაცნობი
ფეხსაცმლის მაღაზიის საწყობში?!
რაც არის, არის, ვიფიქრე, წაველ და რაც დამხვდა,
ვიყიდე!
(არავითარი რიგი! ვიყიდე სრულიად ადვილად).
მაგრამ რა, შენს მტერს, ორიოდ ნაბიჯზე
ორივე ფეხი გამიყვლიფა ორ-ორ ადგილას!..
გავმწარდი საშინლად.
სისხლმა გაყონვა დამიწყო ტვინში და
გულიც სხვანაირად ამტკივდა!..
დავჯექ ასფალტის კიდეზე, იქვე, ურნასთან და
ვიფიქრე: ეგ არი, ვკვდები ნამდვილად!
გავიძრე ფეხსაცმელი და გადავუშვი თავის ადგილას!
აღარ ვჩიოდი იმის ფასს, ქალი გადავურჩი ინფარქტს!
ასე დავღუპე ფული, მაგრად რომ ვუჭერდი მუჭას.
ისევ ამოვიღე ჩანთიდან ჯღანები და გავუყევი ქუჩას.
...მაინც არ გავახარებ სპეკულანტებს!
მაინც არ ვიყიდი ხელზე!
ე ფული ჩემი მონაგარია,
კი არ ამიკრეფია ხევზე?!

**ლალი მარტაშვილი**

ნახ. ი. ქეინაშვილისა



— წარმოგიდგენია?! მე და ჩემმა ქმარმა დღეს მთელი ქალაქი შემოვიარეთ და ხელცარიელი მივდივართ შინ!



ნახ. გ. ფირცხალავასი



უსიტყვოდ

— მთელი ქალაქი ქურქებით შეიმოსა, შენ კი იტალიურ რატინის პალტოში გინდა ამომხადო სული?! — ცრემლების ღაპაღუპით შესჩივლა ბიქტორს ცოლმა.

— რა ვქნა, ქალო?! ტყავი არსად არ იშოვება! — დაცვაზე გადავიდა ბიქტორი.

— ვიოლეტამ, აფროდიტამ, დეზდემონამ და ჟოზეფინამ სადღა იშოვეს?!

— ალბათ, ტურისტული მოგზაურობისას წააწყდნენ სადმე!

— მორჩა! მეტი არც მინდა მოგისმინო! ან ტყავი, ან რაზვოდ! — იყვირა განრისხებულმა ჯულიეტამ და მაგიდაზე მუშტი ძლიერად დაჰკრა.

ბიქტორმა შეატყო, რომ ცოლთან შელაპარაკებას აზრი აღარ ჰქონდა, ზეზე წამოხტა, წელზევით სასწრაფოდ გაიხადა, ხელში დანა აიღო და ჯულიეტას ვაჟკაცურად შეჰყვირა:

— აგერაა დანა! აგერ ვარ მეც! დამკალი და გამაძრე ტყავი!..

**ბუჩქი**

ნახ. ვ. დუბოვისა



უსიტყვოდ

## უცხოური იუმორი

### მოდის მოთხოვნა

ქალიშვილი ერთთავად სარკის წინ ტრიალებს და მეტისმეტად მოკლე და ღრმად გულამოღებულ კაბას ისინჯავს. დედა შეშფოთებული შეჰყურებს.

— ნუთუ, ამ კაბით აპირებ გამოსაშვებ საღამოზე წასვლას?! — ჰკითხა ბოლოს ქალიშვილს.

— რატომაც არა! მოდა მოდაა!

— ქალიშვილობაში ასეთი კაბები რომ მცმოდა...

— დიდი წარმატებაც გექნებოდა!

— შესაძლოა, მაგრამ შენ ახლა ათი წლით ხნიერი მაინც იქნებოდი!

### ვინ ვის სჯობს

ქალები სჯობს თუ მამაკაცები? — ატყდა დავა ერთ საზოგადოებაში.

— ქალები! — გადაჭრით განაცხადა ერთმა მანდილოსანმა. — არასოდეს მინახავს ისეთი ქალი, ბრიყვ მამაკაცს ლამაზი ფეხების გულისათვის რომ გამოჰკიდებოდეს!

### სადილი

— რასა ჰგავს ეს?! სამუშაოდან დავბრუნდი, საჭმელი კი მზად არა გაქვს! კმარა! მე რესტორანში მივდივარ!

— ძვირფასო, ხუთი წუთი დამიცადე!

— გსურს, დამარწმუნო, რომ ხუთ წუთში მოამზადებ საჭმელს?

— არა, გადავიცვამ და ერთად წავიდეთ რესტორანში!

### უკვე იცის

პატარა ბიჭი დედას ეძახის:

— დედიკო, შედი კაბინეტში, დიდი კიბე წამექცა!

— ერთი მამაშენმა გაიგოს, გიჩვენებს სეირს!

— მამამ იცის, ჭალზე ჰკიდია!..

### ძალა მოდისა

მისის პარკერი სილამაზის სალონიდან დაბრუნდა, სადაც მოდურად ძალზე მოკლედ შეკრიჭეს თმა.

— ახლა სულაც არა ვგავარ ბებერ ლედის, ხომ მართალი ვარ? — ჰკითხა კეკლუცად ქმარს.

— უეჭველად! — მიუგო ქმარმა, — ახლა, ძვირფასო, ბებერ ჯენტლმენს ჰგავხარ!

### ძვირფასი სტუმრები

დიასახლისმა სტუმრებს საოჯახო ალბომი აჩვენა. ბავშვობის სხვა სურათებთან ერთად, ალბომში ერთი გადაყვითლებული სურათიც იდო, რომელზეც მოხუცი ქალი და მის მუხლზე მოკალათებული ერთი ციდა გოგონა იყო გამოსახული.

— ასე გამოვიყურებოდი 30 წლის წინათ! — თქვა დიასახლისმა, — მოგწონთ?

— ძალიან. მაგრამ ეს ბავშვი ვინღაა?

### რატომ

მოსწავლე ეკითხება დედას:

— დედი, რატომ ითვლება სოლომონი ყველაზე ბრძენ ადამიანად დედამიწის ზურგზე?

— იმიტომ, რომ მას ბევრი ცოლი ჰყავდა და თითოეულ მათგანს ეთათბირებოდა.

### წვეულებაზე

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მათთვის მეტად მნიშვნელოვან წვეულებაზე დაპატიჟეს. შესასვლელთან ქმარი ცოლს ეუბნება:

— გაისწორე ნაკერი მარცხენა წინდაზე!

ცოლმა შეუმჩნევლად გაისწორა წინდა და თავის მხრივ ქმარს ჩასჩურჩულა:

— მეორე წინდა სწორად მაცვია?

— მეორე უნაკეროა, — მიუგო ქმარმა.

### ზღვის სანაპიროზე

სანაპიროზე მეტისმეტად სიმბოლურ კოსტიუმში გამოწყობილ ქალიშვილთან პოლიციელი მივიდა:

— რას იტყვის დედათქვენი, ამ კოსტიუმში რომ განახოთ?!

— გაგიჟდება! ეს ხომ მისი კოსტიუმია!

### ნიჭი

— ჩემი ქმრის საქმე ვერ არის კარგად! მგონი, დაავადმყოფდა: ხშირად, როცა ვესაუბრები, მხოლოდ ერთი საათის შემდეგ ვამჩნევ, რომ მას ჩემი ნალაპარაკები თითქმის არ გაუგია!

— ეს ავადმყოფობა კი არა, ნიჭია, ძვირფასო!

### სახიფათო კითხვა

ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი რენე კლერი თავისი ახალი ფილმისათვის მსახიობ ქალებს არჩევდა.

— რამდენი წლისა ხართ? — ჰკითხა მან ერთ-ერთ მსახიობს.

ქალმა მორცხვად დახარა თავი და ჩაფიქრდა.

— სწრაფად მიპასუხეთ, — უთხრა კლერმა, — თქვენ ყოველ წუთს გემატებათ ასაკი!

### ენაჭარტალა

ერთ-ერთმა ქალბატონმა მარკ ტვენი თავისთან მიიწვია ლოჟაში და მთელი სპექტაკლის მსვლელობისას პირი არ მოუკუმავს. თეატრიდან რომ გამოვიდნენ, ტვენს უთხრა:

— მოდით, შემდეგ კვირას „ტოსკას“ დავესწროთ!

— მომხიბლავი იდეაა, — მიუგო მარკ ტვენმა, — მე თქვენთვის არასოდეს მომისმენია „ტოსკაში“!

### ბე

რესტორანში კლიენტმა ფულის გადახდა დააპირა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საფულე სახლში დარჩენოდა.

— ძალზე მეუხერხულება, — უთხრა მიმტანს, — მაგრამ ფული სახლში დამრჩენია. ახლავე წავალ მოსატანად, ჯერჯერობით კი ცოლს დაგიტოვებთ ბედ!

— იქნებ საათი, ან ბეჭედი გაქვთ თან?! სჯობს, ის დატოვოთ!

— ნუთუ, ჩემი ცოლი არ კმარა იმის გარანტიად, რომ აუცილებლად დავბრუნდები?

— რასა ბრძანებთ! მაგრამ, იცით, რას გეტყვით? რაიმე მიზეზით რომ არ დაბრუნდეთ, ერთი ცოლი უკვე მყავს!...

### მეგობრები

ახალგაზრდა ქალი მეგობარს გამოუტყდა:

— ცნობილი კინოვარსკვლავი უნდა გავხდე, რომ მთელმა მსოფლიომ ილაპარაკოს ჩემზე!..

მეგობარმა სკეპტიკურად გადახედა.

— ნუთუ, ის არ კმარა, რასაც მთელი ქუჩა ლაპარაკობს შენზე?!

### სტატისტიკა

— მამიკო, სტატისტიკურ წელიწდეულში ამოვიკითხე, რომ ოჯახი საშუალოდ 4,1 ადამიანისაგან შედგებაო. ეს 0,1 ვინღაა, ნეტავი?

— ოჯახის მამა!

### ბორკილები

ერთხელ დიუმას ჰკითხეს, რას ფიქრობს იგი ეგრეთ წოდებულ ცოლქმრულ ბორკილებზე.

— ცოლქმრული ბორკილები ისე მძიმეა, რომ ისინი აუცილებლად ორმა უნდა ატაროს, ხანდახან კი — სამმაც!..

### საბაბი

ისმენენ განქორწინების საქმეს.

— რატომ მოითხოვთ განქორწინებას? — შეეკითხა მოსამართლე ქმარს.

— ხასიათების სრული შეუსაბამობის გამო.

— რაში გამოიხატება იგი?

— მე განქორწინება მსურს, ცოლს კი — არა.

### განქორწინება

განქორწინების საქმის განხილვისას მოსამართლემ გულისყურით მოუსმინა ორივე მხარეს და შემდეგ ცოლს მიმართა:

— რატომ ეყრებით ქმარს? ნუთუ, ვერა გრძნობთ, რომ უყვარხართ?

— შესაძლოა! — წამოიძახა ცოლმა, — ამ არამზადისგან ყველაფერია მოსალოდნელი!

### თეატრის მოყვარულები

— ისევ თეატრში მიდიხარ?! ეს პიესა ხომ ნახე უკვე?!

— ჰო, მაგრამ მაშინ სხვა კაბა მეცვა!

### სტატუს-კვო

— ჩემმა ქმარმა იმიტომ შემირთო, რომ რესტორნის საჭმელებს ვერ იტანდა!

— ახლა?

— ახლა ალმერთებს!

### დაბნეულები

ძვირფასო! — მისწერა ვაჟმა ქალიშვილს, — წუხელ ისე ვიყავი აღელვებული და დაბნეული, რომ ვერაფრით გამიხსენებია, რა მიპასუხე ჩემს წინადადებაზე!

საყვარელო! — უპასუხა ქალიშვილმა, — ძალიან მასიამოვნეთ თქვენი წერილით, ვინაიდან ვერაფრით ვერ გავიხსენე, თუ ვის ვუთხარი წუხელ უარი!

თარგმნა ბექან ასათიანმა

„პაროუფელა“ (პოლონეთი)



— პან, თუ შეიძლება, ცოტა გვერდზე მიიწიეთ!..

# სხვის ოჯახში მოხიზნე

შარშან ამ დროს ჩემი ცოლი,
როცა ძროხას წველიდა, —
ქმარო, ჩაგდე მიწაშიო! —
მთელი გულით მწყევლიდა!

გაჰყვიროდა: „მპირდებოდი,
გაცხოვრებო ქალაქში!
მე კი სოფელს შევაბერდი
და ვიხრჩობი ტალახში!

ხელისგულზე გატარებო!
(ვგიჟდები და ვირევი!)
მაშ, სად გაქრა, ვაჟბატონო,
შენი დანაპირები?!

შევკრათ ბარგი-ბარხანა და
მივატოვოთ სოფელი,
თორემ შენი ერთგულების
ვხდები უარმყოფელი!..“

ასე გავხდით ქალაქლები!—
სოფლად სახლი გავყიდე,
სიმწრით ვიხდი ბინის ქირას
და ვალებმა გამყვლიფეს!..

ალბათ, მეტის ღირსი არის
სხვის ოჯახში მოხიზნე!..
ჩემს ცოლს ახლა ენატრება
ჩვენი ჭრელი ძროხის რძე!

სიმონ ლაცაბიძე

ნახ. მ. აბაშიძისა



— ძლივს არ იშოვა ჩვენმა გოგომ გასართობი?!



# გამომყევით!

**ავტობუსში** ავედი და თავისუფალ ადგილს დავუწყე ძებნა. დავინახე კიდეც თავისუფალი სკამი, მაგრამ ერთმა მეტად სიმპათიური გარეგნობის ახალგაზრდამ დამასწრო და სკამზე არხეინად მოიკალათა.

ცოტა ხნის შემდეგ მივიხედე და რას ვხედავ: სწორედ ის ახალგაზრდა, რამდენიმე წუთის წინ ადგილს რომ შემეცილა, თვალს არ მაშორებს!..

— დაბრძანდით!

გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ მის ადგილზე აღმოვჩნდი.

ღმერთო ჩემო! როგორ წამოხტა ფეხზე! რა დიდის ამბით დამითმო ადგილი! თანაც როგორ მიყურებდა! არა, ნამდვილად რაღაცაშია საქმე! ნეტავ, ხომ არ მოვეწონე?!

ახალგაზრდა მონუსხულივით იდგა და პირდაპირ თვალებში მიყურებდა.

აფორიაქებულმა ერთხელ შევავლე თვალი ჭაბუკს და თავი, რაც შემეძლო, ნაზად მივაბრუნე ფანჯრისაკენ. ელდა მეცა: ჩემს გაჩერებას გავცდენოდი! სკამიდან წამოვდექი. „ვაითუ, არ ჩამომყვეს?!“ — გულში ეჭვის ჭია გამიჩნდა და გაუბედავად ჩამოვდგი ფეხი საფეხურიდან. ნელ-ნელა გადავჭერი ქუჩა და უკან მოვიხედე... ლამაზი ვაჟი იქვე, ჩემს მახლობლად იდგა და კვლავ მონუსხულივით მომჩერებოდა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ არ შემეძლო, უკან რომ არ გამოგყოლოდით!..

ბედნიერებისაგან ტანზე დამსუსხა.

— ნუთუ უარს მეტყვით?

— მითხარით, რა გნებავთ! — შეშინებულმა ჩავიჩურჩულე.

— მაშ, უარს არ მეტყვით და ამდენი ხნის ნაოცნებარს შემისრულებთ? რა ბედნიერებაა! მოდით, ნულარ გადავდებთ ამ საქმეს და ახლავე, ამ წუთში გამომყევით... იმ სპეკულანტთან, ვისგანაც ეს სათვალე იყიდეთ!

რუსუდან ნათენაძე

## კეთილშობილური საქციელი

**სალამო** იყო. მოქალაქე გ. მ. სამსახურიდან დაღლილი დაბრუნდა სახლში. ეტყობოდა, არაფრის თავი არ ჰქონდა, მაგრამ რა ექნა? საჭმელი ხომ უნდა მოემზადებინა და ეჭამა? ჩანთა დააგდო და უხალისოდ შევიდა სამზარეულოში. ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენია მის მეუღლეს, მოქალაქე ნ. ა-ს, რომელიც ამ დროს სარკის წინ ტრიალებდა. გეტყობა, დაღლილი ხარ და გშიაო, უთხრა ქმარს, გამოართვა წინსაფარი, აიკაპიწა ხელები და მანამ არ გამოვიდა სამზარეულოდან, სანამ საჭმელი არ მოუმზადა.

ნ. ა.-ს საქციელი ქების ღირსია!

ბასა-ბებია

191 82
8.III

ნახ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ

## დიალოგები

— ჩემმა შვილმა ხუთი ენა იცის!
— ოო, რა ენაგრძელი ყოფილა!

●

— ექიმო, წყალში რომ ვიხრჩობოდი და ამომათრიეთ, გულწასული რით მომაბრუნეთ?
— წყლით!

●

**მოსამართლე:** — რა დროს გაძარცვეთ ბინა?
**მძარცველი:** — დღისით-მზისით!
**მოსამართლე:** — მერედა, არ გეშინოდათ?
**მძარცველი:** — ვისი უნდა შეგვშინებოდა?! ერთ-ერთი ჩვენგანი, მილიციელის ფორმით, ადგილზე იყო და გვიცავდა!

**თინათინ ხმალაძე**

●

— საცოლისათვის კარგი ჟაკეტი მინდა!
— როგორ, უკვე დასაბმელია?!

●

**ტელეფონით** ლაპარაკობს კაცი, რომელსაც შეშინებული სახე აქვს:
— ალიმენტის შესახებ მიჩივის?! რომელი?!

●

**ცოლი** (გახარებული): იცი რა მშვენიერი აზრი მომივიდა?
**ქმარი** (დაღვრემილი): ვიცი! მოდური ტუფლები გინდა, შეიკერო!
**ცოლი** (უფრო გახარებული): როგორ მიხვდი? გენიოსი ხარ პირდაპირ!
**ქმარი** (უფრო დაღვრემილი): შეიძლება, ვარ გენიოსი, მაგრამ უფულო!

**გიგლა ბახტაძე**

### მამა

ხასთუმალს როცა ცრემლებით ვნამავთ,
რაღაც ტკივილი თუ არ გვახვენებს,
არავინ ვყვირით: „ვაიმე, მამავ!“
ყველა საყვარელ დედას ვახსენებთ!..

ღმერთმა უმრავლოს ასეთი ყველას, —
თავს გამოიჩენს თუ სადმე ბავშვი, —
„ნეტავ დედაშენს!“ — იტყვიან ხელად,
მამა არავის არ ახსოვს მაშინ!..

გულისტკივილით არ ვამბობ ამას, —
დედის სიყვარულს ვერავინ წაშლის! —
მაგრამ იმისთვის არსებობს მამა,
მხოლოდ ხელფასი მოჰქონდეს სახლში?!

გიგა მახვილაძე

### „მაიკა“

ათასად ცოლი დაფასდა,
ორი ათასად — „ლაიკა“!..
ვუყიდე! მე კი მაცვია
დაკერებული „მაიკა“!..

**ნიკოლოზ იოსებიძე**

ნახ. ელისო მაჭავარიანისა



— **მაჯისცემა მომატებული გაქვთ, რამ აგაღელვათ?**
— **სარვამარტო საჩუქრებმა, ექიმო!**


სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 5 (1615) მარტი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
ნომადი ბართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),

ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),

ნაფი ჯუსოითი.

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად
4. 2. 82 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
23. 3. 82 წ.
ქაღალდის ზომა 70×100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 306 უე 06149
ტირაჟი 148.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდება

●

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვრ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

ნახ. ჯ. ლოლუასი




ევა — ადამს: ლოჟია შენ არ მალირსე! შიშველ-ტიტველს გვატარებ! დაგვსვი ამ ცარიელ ირმის ხორცზე და გაგიჩენ კიდევ შვილებს, მეტი შენ არ გიცხონდა მამაზეციერი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა